საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის

ბრძანება №18363
2021 წლის 29 ივნისი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნულ სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2018 წლის 25 იანვრის №2880 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „კ” ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნულ სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2018 წლის 25 იანვრის №2880 ბრძანებაში (სსმ, ვებგვერდი (www.matsne.gov.ge), 25.01.2018 წ.; სარეგ. კოდი: 140080000.42.047.016048) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შტატით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნულ სამოქალაქო პირთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების, იერარქიული რანგების და კოეფიციენტების ნუსხის” (დანართი №1) მე-4 პუნქტის („ოპერატიული დეპარტამენტი“) „პ“ და „ჟ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პ)	უფროსი ოპერატიული თანამშრომელი	1800 (I კატეგორია)	3/4	1.8*
		1700 (II კატეგორია)		1.7
		1600 (III კატეგორია)		1.6*
ჟ)	დაგეგმვის უფროსი ოფიცერი	1900 (I კატეგორია)	3/4	1.9
		1700 (II კატეგორია)		1.7
		1600 (III კატეგორია)		1.6*

მუხლი 2

ბრძანება ძალაში შევიდეს 2021 წლის პირველი ივლისიდან.

.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი — **ანზორ ჩუბინიძე**